

1956

СВЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე ინგლისის წარმომადგენელი დიქსონი ირწმუნებოდა, რომ ინგლია-საფრანგეთის მოქმედებას სუეცში აქვს „დროებითი ხასიათი“ და წარმოადგენს „საგანგებო პოლიტიურ აქციას“.

გაზეთებიდან

ჯანვარიანი აგროს

— რა გაზუფოვებთ? ცუდს არ ვიზამთ მე პირობა მომიცია, თქვენ გგონიათ ბომბებსა ვყრით? ციდან ცვივა პოლიცია!..

ჯენტლმენს უნდა დავუჯეროთ, „მართალს“ იტყვის, ხომ იციან, — თორემ მაგის სიმართლეში კარგად ვიცით, ჰორიც კია!



3306

1967 წელს ანდროპოვის „კაცია ადამიანის“ გადაღებისას დიდ უკონტროლო გასწევს კინოსტუდია თათქარიძეებს სახლს და-კორატიების გაქვების მაგივრად გადაიღებენ ქუჩისფერის შეხას. № 1 სახლს (თუ მანამდე გაარემონტებს, სხვა სახლით მოიძებნება მისი მხარეები)

კარგი ხოლმე N 72 სახ-
ემათვედრის მუშაობა, არ
ქავერწყობა წყლის რაოდენ-
ობა-ვეს ამბობენ, ხსუს
თქ ზონის ჩიხა
საქონლად
მოხვდა

ოპოზიციონერი

საქართველოს
ბიბლიოთეკა

1960 წლის ანგარიშში მომუშავე ქალები, კორესპონდენტის შე-კითხვაზე: „რომელი წლის ანგარიშში მუშაობთ?“, — ჩვეულებრივად დაიკლებენ წელს და იცრუებენ: „1959 წლის ანგარიშში, პატრონო“.

დასკოვნიკი
გამოვარდნილი ვინაა, ვინაა
ქალაქის მთელი მოსახლეობა
გუშაქა სახლის გუნდის.

კარგად მოგეხსენებათ, ტექნიკა დოლოძის ქუჩაზე ტა-ლახში ჩაფლული ტაქსი როდია ერთ ადგილას ბუქსაობდეს ვინ იცის, რამდენ თბილისელს ასხოს კონკა გადავალტყავებუ-ლი ცხენებით. ახლა კი თეატრული თეატრის ინტერესები მერ-ცხლებივით სეოვენ ზეცას.

გავა ხანი, კარგა დიდი ხანი, და ადამიანი გაფრინდება პლანეტებზე... დამთავრდება მეზახტეთა სახლის მშენებლობა „ზემელზე“, ადამიანი მოისმენს რადიოგადაცემებს მარსიდან, იუპიტერიდან; აღარ მოისმენს გაუთავებელ ძახილს თბილისის ქუჩებში — ლეზეია, კრისტალ-ვანილი, ნალბები! ფანტაზიით წარმოვიდგინოთ ამ დიდებული მომავლის პატარა სურათი.

რეპეტიცია დამთავრდა. ნოდარმა თეატრის ფანჯრიდან გახედა ვლადივოსტოკის წარმტაც პანორამას. ფართო ქუჩებ-ში ელვის სისწრაფით დაჰქროდნენ შუშხუნაძრავიანი ავტო-მობილები. ოცნებაში გართულს გაახსენდა, რომ თბილისში ცოლი სადილად უცდიდა. საჩქაროდ ტელეფონის ყურმილი აიღო. თეთრ ღილს თითი დაადო და ნომერი აკრიფა. პა-ტარა ეკრანზე ცოლის მომღიმარე სახე გამოჩნდა.

— ციალა, გენაცვალე, ჯერ ნუ გააწყობ მაგიდას, ნახე-ვარი საათი დამავიანდება.

— ხომ არაფერი შეგეხსენება?

— არა, მოსკოვში უნდა შევიარო. ჩემი ბიძაშვილი გაუნაწილებიან სატურნზე სამუშაოდ, იქნებ მოვუხერხო დედა-მიწაზე დატოვება, ხომ იცო დედამისი თავს მოიკლავს...

— კარგი, გენაცვალე. ოღონდ კი რაიმე მოხერხდეს და... ალო, ნოდარ, ხელები მანდვე დაიბანე და ისე წამოდი, აქ წყალი ისევ შეწყდა...

ნოდარმა უსიამოვნოდ დაკიდა ყურმილი, რევისორს გამოემშვიდობა. ატომური თეიამფრინავი-ტაქსი სწრაფად აიჭრა ჰაერში. ვენტუროს აეროდრომზე დაფრინდნენ. ნოდარს ეწყინა, რომ გზაში მოწინავე სტატიის წაკითხვა ვერ მოა-სწრო. სამაგიეროდ სამინისტროს მოსაცდელ ოთახში მთელი ოქტომბერი გადაიკითხა, ვიდრე მას მიიღებდნენ. კადრების განყო-ფილების გაგვევ გადაათვალიერა ყველა სამედიცინო ცნობა და განცხადებას მსხვილი წითელი ფანქრით წააწერა-და-ტოვებულ იქნას დედამიწაზე.

სახლში გახარებული დაბრუნდა. ცოლმა კარებშივე შეიგება სიურპრიზი, ნოდარს ეპატიებოდნენ თავისი პიესის პრემიერაზე პლენეტა მარსის ერთ-ერთ დრამატულ თეატრ-ში. ათერთმეტი წელია, რომ სულ გადავიწყდა.

ხუმრობა ხომ არ არის. მისი პიესები იდგმება სამყა-როს თითქმის ყველა კუთხეში. მართალია, თბილისის თეატრების სცენაზე ჯერჯერობით ვერ მოიკიდა ფეხი, მაგრამ...

— ციალა, შევებულვას რომ აიღებ, მარსზე წავიდეთ დასასვენებლად. ხომ გაინტერესებს ჩემი პიესის ნახვა იქაურ სცენაზე?

— რას ამბობ; როგორ არ გაინტერესებს, მაგრამ ახლა ხომ თელი თბილისი ვენერაზე მიდის დასასვენებლად!

— პირიქით, ჩემო სულიკო, პირიქით, ახლა ყველანი მარსზე წავლენ, იქ იენისში შეჯიბრება იწყება ფეხბურთში სამყაროს პირველობაზე. ხომ იცი რა ვაი-ვაგლახით და ნა-ცნობობით ვიშოვენ ბილეთების ტალონები ფიზკულტურის კომიტეტში...

ნოდარმა ისეთი თვალებით შეხედა ცოლს, რომ ციალამ ღიმილი ვეღარ შეიკაფა.

— კარგი, ჩემო ნოდარ, წავიდეთ მარსზე. მხოლოდ იქიდან ორი კვირით ვენერაზე შევიაროთ.

— ზეშვები სადღა არიან?

— ბავშვები? აგერ არიან სოხუმში საბანაოდ.

საჩქაროდ დაუძახე, სადილი ისედაც დავაგვიანე მესამე დღეს ნოდარი მთელმა ნაცნობ-მეგობრებმა გა ცილეს.

აეროდრომზე ჩვეულებრივი აურზაური ტრიალებდა. მოქალაქენო, თეიამფრინავი № 15 — თბილისი — იუპი-ტერი, 10 წუთში გაფრინდება.

— თუ შეიძლება გამატარე!

— ნასელჩიკ!

— განატარე, ადამიანო!

— ნასელჩიკ, დაგეცა ოჯახი!

— აქ არის, გინასვალე. წავილოთ?

— სად მიძვრები, შე...

— ე, ბიჭო. გამიშვი!

— ბილეთი მაჩვენე.

— შემიშვი, ბიძია, აგერ მიედივარ მთვარეზე.



— მთვარეზე პრიგოროდნით უნდა წახვიდე, აქ სად მოძვრები?!

— აჰა ხუთი თუნანი და ჩუმად იყავი!..

ნოდარმა რის ვაი-ვაგლახით ნიაღწია თავის ადგილს. ხეირიანი გამომშვიდობება ვერც კი ნოასწრო, რომ ატომური ხომალდი უკვე უპაერო სივრცეში მიჰქროდა. რბილ სავარძელში გადაწვა. თან მეზობელ მაგიდაზე თვალყურს ადევნებდა ქაღალაქში გამართულ ორთაბრძოლას. რადიოში კი თავმომაბეზრებლად გაისმოდა ბებიუთოვის და კანდეაკის სიმღერები.

— განოთიშეთ, აღარ შენიძლია!

— რა არის, კაცო, გეპეის ჯაზი მაინც აღარა აქვთ? თავმომბეზრებულმა ნოდარმა მარტვილი გადაატრიალა.

— დედიკო, ვაშლი მინდა! — ქირვეულობს რომელიღაც მგზავრის ბავშვი.

— დედა გენაცვალოს, ჩავალთ მთვარეზე და გიყიდი. პერმეტულად დახურულ კარებში გუგუნის ხმა შემოიჭრა — თვითმფრინავს ანუხრუჭებდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მგზავრები მთვარეზე დააბიჯებდნენ. ნოდარმა მახლობელ ბაზარში შეირბინა.

— აბა კარგი ხილი, აბა ქართული ხილი!

გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა.

— დადნის ფურცელი, ასი გრამი 5 მანეთი.

— ჩვენი ძმა, ლაქის ტუფლი არ გინდა? ჩემმა მზემ, პადაროჩნი რაზეა.

აბა ქლიავი, ნასტაიაში გულრიფშსკი ქლიავი, პაპრობუი, კაცო! არ ცხრება გაქნილი სპეკულანტი, და თან ქლიავის ნაცვლად სამტრედიულ ტყემალს სთავაზობს მყიდველებს. ნოდარს განწყობილება გაუფუჭდა. საჩქაროდ დაბრუნდა თვითმფრინავში. ტელევიზორში მექსიკელი ტორედორების ბრძოლას აჩვენებდნენ. არც შეუხედავს. ხასიათზე მხოლოდ მარსზე მოვიდა, როცა მისნა პიესან საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. გახარებული იმ წუთსვე ფოსტაში გაიქცა და სახლში ელვა-დეპეშა გამოგზავნა — „პრენიერამ წარმატებით ჩაიარა, ალბათ, მალე დავბრუნდები, ნოდარი“.

გავიდა რამდენიმე დღე, ნოდარმა ყველა საქმე მოაგვარა, ცოლს საგანგებო საჩუქრები უყიდა: მაცივარი, სარეცხი მანქანა, უნაკერო ჩულქები, ნაილონის პერანგი, ნაილონისვე... წინდები. კვლავ გზა. საჰაერო ხომალდი აკეთებს მისასაღმებელ წრეს თბილისის თავზე.

როცა, სახლის კარები შეაღო, გახარებული და გაოცებული ცილა ყელზე ჩამოეკიდა.

— მაღლობა დმერთს, ცოცხალი ყოფილხარ, დეპეშა მაინც რატომ არ გამოგზავნენ, პიესა ხომ არ ჩავარდა?

— დეპეშა?! დეპეშა ხომ იმ წუთსვე გამოგზავნენ!

— რა ვიცი, ჩვენ არაფერი მიგვიღია. გუშინ კი აი ეს უწყება მივიღეთ პლანეტა მერკურიდან, სახალხო სასამართლოში გიბარებენ.

— სასამართლოში?! რაშია საქმე?

— პლაგიატობას გწამებენ. შენზე საჩივარი შეუტანია ნ. დადიანს, თითქოს მისი პიესა გადაგეკეთებინოს.

— ეს ის დადიანი ხომ არ არის, ერთხელ ბერძენი-შვილს რომ უჩივლა? რა ცილისწამებაა! მე ხომ მგალობლი-შვილის „ყაყიტას ქურდი“ გავასცენიურე!

— არაფერი ვიცი, დადიანს დაუტრიალებია, დედანი-წაზე რომ ნაცნობობით მჯობნის, მერკურზე მოვრიგდებითო. სასოწარკვეთილმა ნოდარმა უწყება გადაათვალიერა.

— მამიკო, ფოსტალიონი მოვიდა, დეპეშა მარსიდან.

— მარსიდან?! იქაც ნ. დადიანმა მიჩივლა? — გაოცებულმა ტექსტი გადაიკითხა; „Премьера без целкавма чагиара, албат мале мовнрундеси. Ндри“. და ქვევით მინაწერი: „Так—ндри“.

ხელში თავის გამოგზავნილი დეპეშა შერჩა.

— ხაზინ, სამახარობლო გვეკუთვნის.

აქედან გამეცალე! დასტეკა ნოდარმა და სავარძელში ჩაიკეცა.

გურამ შანუჩიძე

ნახ. ი. ქაქიაშვილისა



ახალი ბინა, ლამაზი, მიიღო ჩვენმა ილიკომ, ძველი კი გადაულოცა თავის რძალსა და შვილიკოს. ხომ არ შეეძლო ბებიკოს ძველ სახლში დარჩენილიყო? შვილიშვილისგან საჩუქრად იმანაც ბინა მიიღო. თავის მხრივ ძველი სახლ-კარი ერთგულ ძმს მისცა ბებიაშ, ჰოლო ძმის ბინა სოფლიდან მოსულ ნათესავს რგებია. ნათესაობაც ეს არი, — თქვებ შვილმა, რძალმა, ბაბაშა. ერთს ბინა მისცეს და ყველამ სახლ-კარი გამოიცვალა.



ნელა იღება კაბინეტის კარები. ოთახში წითურ თავს შე-
მოკოფს შუატანის კაცი, კროლა თვალებით მოათვლიერებს
იკაურობას, თავმჯდომარეს მორიდებით შეხედავს, თითქმის
ფეხაკრებით შემოიპარება და მოკრძალებით ჯდება მწვანე
მაუდღადაფარებულ მაგიდასთან.

ეს კაცი ილია გუგულაშვილია, ყოფილი თავმჯდომარე,
ახალი თავმჯდომარის მოადგილე და... თავმჯდომარეობის
მაძიებელი. დამხდური კი აწინდელი თავმჯდომარეა—რევან
რაჭვიაშვილი.

—ნანატრ დროს მოხვედრი, ილოჯან.—გუბნება რევან, —
ჩვენებულმა თამარ მახარაშვილმა პირდაპირ ფეხით გათვლა
ჩემი ავტორიტეტი, სახელი და ღირსება. აბა, უკუბრუნე რა
მითქმა-მოთქმა სოფელში. ათას რამეს ლაპარაკობენ, ხომ
ვესმის! ანობენ. თითქოს იგი ჩემი საყვარელია. ამას იკით
ვანა შეიძლება კოლმეურნეობაში მისი გაჩერება?

—მე არაფერი მსმენია, პატივცემულო რევან, მაგრამ, რა-
კი თქვენ გსურთ...—წითურმა კაცმა ეშმაკურად მოკუტა
თვალები და გაიფიქრა: „კისერიც გიტენია, რა მენაღვლება“.
წყარ! წყარ!—წყარიალებს ხარი და კაბინეტში კოლმე-
ურნეობის მონაგარი შეშინდა.

—ახლავე დამიძახებთ გამგეობის წევრებს. ახლავე შეკრი-
ბეთ ყველანი!—ბრძანა რევან რაჭვიაშვილმა, წითურ კაცს
გამომცდელად შეხედა, შენი ხომ ასე ფიქრობო. მის სახეზე
დასტური ამოიკითხა და ახლა უფრო ომახიანად დააბოლო-
ვა:—დამაცადოს მახარაშვილმა!...

—მართალი ხარ, ჩემო რევან,—მხარი აუბა ილიამ მო-
თაფლული ხმით, —ქვეყანა გაფასებს, ავტორიტეტიც გაქვს.
ფხიზლად უნდა იყო. რომ ვინმე ჩრდილი არ მიაყენოს შენს
სახელს. ხომ გაგიგონია, თავის გატეხვა სჯობს სახელის გა-
ტეხვასო. (იქვე გაიფიქრა—არც ვგ თავია დიდი ბედენაო).
ეს კორობი და მითქმა-მოთქმა დღემდე არც მე და არც
სხვას არ გაუგონია, მაგრამ, რაკი შენ ამბობ, წინ რა დაუდ-
გება! ის გოგო, ცოტა არ იყოს, არც მე მომწონს. ნამეტანი
თვითნებია. მახსოვს, იმ დღეს თქვენი განკარგულება არ შე-

სრულა: ჯერ საბუთი გამიფორმე, ფულს მერე გავცემო. აბა
როგორ გაბედა ასეთი ურჩობა!—ყასიად გაბრაზდა მოად-
გილე, და რაკი უფროსის სახეზე მოწონება ამოიკითხა, ფა-
რისველურად გაიღიმა და კითხვის ნიშნით მოიკაცა.

—ახლა როგორ მოვიქცეთ?—შეკითხა თავმჯდომარე.

—გამგებობის კრება და მისი ჯანი! თავიდან მოიშორე,
ყველასთვის გავეთილი იქნება, ვერაინ გაბედვს შეგილა-
ხოს ავტორიტეტი! მახარაშვილს არც ჩვენი ბულალტერი ნი-
კო უმაღლის მაინცდამაინც. ხშირად მსმენია: მატრაკე-
ცა თამარი კუფას მასწავლის—საბუთებს სწორად არ აფორ-
მებ, ბულალტერიის ბევრი არა გაგებება რაო. განა ერთხელ
და ორჯერ გამოუბრუნებია ჩვენი ბულალტრის ხელით გა-
ფორმებული საბუთი—ეს რა უმსგავსოა შუუდგენიაო. მოდი
და იყოლე ასეთი ხელქვეითი!

—რაღა ბევრი გავაგრძელოთ, თვითონ გამოტყვს. თვითონვე
შეკრებს, თამარ მახარაშვილს ანგარიში გაუსწორებს. გააძვევს
სამუშაოდან. გაიხარა ბულალტერმა ნიკო თვედორაშვილმა,
თავისუფლად ამოისუნთქა თავმჯდომარემ. არც მოადგილეს
სტკენია გული. განა ცუდია ამდენი ადამიანის სიამოვნებას
ერთი მონაგარი შექლიშვილი ენაცვალოს? ვის რად უნდა
კანტორაში „შუტატო კრიტიკოსი“?

—ახლა კი გვეშველა.—თქვა თავმჯდომარემ.

—სწორედ!—კვერი დაუჭრა მოადგილემ.

—დავისვენეთ!—წაიდუღუნა ბულალტერმა. მაგრამ, ხომ
გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა; ღმერთს ეცილებოდაო. იარა თა-
მარ მახარაშვილმა, იარა და ეს ამბავი ზემდგომ ორგანო-
ბამდე მიიტანა.

—ერთი ამას დამიხედეთ, ჩივილსაც მიბედავს. მე მაგას
უჩვენებ, როგორც უნდა ურჩობა და საჩივრის წყარა! სად
არის შოთა? (შოთა სტეფანე პარტიზურის მდივანი გახ-
ლავთ ამ კოლმეურნეობაში). ამ წუთში ჩემთან გამოცხად-
დეს!—ნერვიულობდა თავმჯდომარე და „იმწუთსავე“ გამო-
ცხადებულ სტეფანეს დაავალა შეედგინა საქმე ურჩი მახა-
რაშვილის პასუხისგებაში მისაცემად.

„მაგდანას ლურჯას“ შემდეგ, რომელმაც საყოველთაო მოწონება დამისახუ-
რა და საერთაშორისო ფესტივალებზე რამდენიმე ჯილდო მიიღო, საქმილობა გა-
მოუშვა კიდევ ერთი კარგი ფილმი—„ჩრდილი გზაზე“.

ნახ. ჯ. ლოლუასი



წინ რა დაუდგე-
ბოდათ? თქმა და
ქმნა ერთი იყო. სა-
ქმისათვის მეტი და-
მაჯერებლობა რომ
მიცვათ, შეათხინეს
განცხადებები, ყლ-
ბი საჩივრები: სა-
დაც, ვილას რა-
დაცა დააკლიო, ვი-
დაცას უწყისზე ხელი
მოაწერინა, მაგრამ

ფული არ მისცა. ერთი სიტყვით, რწყილიც არ იყო და
გამოყვანა მოისურვეს, მაგრამ არ გაუმართლდათ. პა-
მუშაის, თამარ მახარაშვილისადმი წაყენებული „ბრა-
ნი“ საპნის ბუშტებიც ბერეს, ბერეს და ბოლოს
არა შერჩათ რა. ხოლო თავმჯდომარის მუშაობისად-
მი სათავილო ამბავი ცნობილი გახდა, ქათამმა და
და თავისი დასაკლავი დანა თვითონვე გამოქვეა-
შვიდა რ. რაჭვიაშვილსაც.

თურმე რევან რაჭვიაშვილმა ფახიფუხსა და ბაქიბუ-
სი შენიშნა. აქლემი ვერა, თორემ საწყობის გამგე ვ-
ლაშვილს რომ საწყობში ზამ კუბური მეტრი ხე-ტყ-
ანდა ზედმეტი. უფაქტურო, განა პასუხისგებაშია
მიეცათ? მაშინ სადღა იყო რევანში, როცა მექრობებ
მაში ოცი კილოგრამი ყველი „გაინასწნეს“? ან ის
მოუვიდა ავტორიტეტიან თავმჯდომარეს, რომ გ-
ვილს საკარმიდამო ნაკვეთის ორმაგი ნორმა აღმოაჩნ-
დაი ნორმა ჰქონდა აგრეთვე მანქანის მძღოლს გ.
შვილს, რომელსაც რევანის წყალობით სულ ახლან-
ნად მიუზომეს საკოლმეურნეო ფართობიდან 1110
ტული მეტრი ევნახიკ. მაშინ რად არ რყო პრინ-
ტი, რაჭვიაშვილი, როცა ბოგადირ ყ. სონდულაშვილს
საკარმიდამო ნაკვეთს აძლევდა. შ. სტეფანესა
სონდულაშვილს კი, ფეხმოტეხილი და ავადმყოფ-
რების სანაცვლოდ, კოლმეურნეობის ჯიშინ
ლორებს ატანდა?

აბა, რატომ არ იკითხავთ, რა ეშნავეა გახეტე-
ხედივდ ათსა და ოც აპრილს—ილარიონ ქადაგიშვი-
მარანში 208წ და 1440-ლიტრიანი ქვევრები და რან-
რა 116წ ლიტრი (არც მეტი და არც ნაკლები).
ჩვენ ვგვონია აჭტი აქტად რება, მაგრამ გამოაპალ-
ნოს სუნი უდის, კიდევ ბევრ რამეს უდის სუნი გ.
რაიონის სოფ. პანდარის კოლმეურნეობაში: ბულალ-
კო თვედორაშვილის თვალსა და ხელს შუა სადღაც
ეოთა ტოპა თივას, თბილისის საკოლმეურნეო წერბ-
დულ უფაქტურო საქონელს. შოუფლიობით გაფუქ-
ჭექტარო ყანას...

ყვირილით. ტრამახითა, მუქარით და ამპარტენ-
ქმე ვის გაუცებებია. რომ რ. რაჭვიაშვილს გაეცებთ

დ. შიკაშვილი



ბალაქარკეპ

(ახმეტური სიზმარ-ცხადი)

უფროსმა გამომძიხა და მკითხა. როგორც ნეგობარს: — რომელ სამსახურს ისურვებ, საღ გინდა თანამდებობა? ვიფიქრე, ისეთს ავარჩევ, ხალხმა სახელი მიქოსა, და თანაც, (რა დაგიმალოს), „სახრავიც“ კარგი იყოს! — კოპერატივში? — არაო, — რატომ? — იმისთვისაო! — შენს ქისას ნიემატება აგრეთვე განგის ქისაო! — ბაზრის უფროსად დანნიშნე! — არ იცი ლანძღვა-გინება! — მაშ რა ვქნა?.. კომგანის გამგედ?.. — უსაქმოდ ნოგეწყინება! — როგორ „უსაქმოდ“? ცოტაა განა აქ საკეთებელი? ელექტროქსელი სულს ლაფავს, არა ჩანს გამნათებელი, აბანოა და ცხრა-ათ თვეს მკინვარივითა ჰყუღია, კეთილმოწყობის საქმე ხომ, რა დაგიწოდო, ცუდია. აქ ვკოქლობთ, იქ ნოვიკოქლებთ, იქით სხვა საქმე ტირისა, — კომგანს გაძლოლა სკირია და არ შერცხვენა პირისა!

— § —

“შენ მართალი ხარ. არ ნინდა ვუსმენდე ხალხის ძრახვასა!” — შევევირე, გამომეღვიძა, დავეხსენ სიზმრის ნახვასა; აი, დასწყევლოს ეშმაკმა, კაცი რას არა ნახვასა!

ა. მარიანიძე

ზრდილობიანობა

ნახ. ვ. კუმბურიძისა



ნს ხახლს ცეცხლი გაუჩნდა.

უჩინაჲინ. ჩამოლი წმოკვი!

— ო-ო! კეთილი იყოს შენი შეხვედრა, უჩინ-ნაჲინ. რა კარგია, რომ ჩამოხველ და დაგეხედე! ასეთი კეთილი სალამი მომესმა წწორის საღ-გურზე, ნატარებლიდან გადმოსვლისას. „სალამის პატრონი“ ჩემთვის უცნობი იყო. მაგრამ საფერავის ქაქაში ნარევი ხელი ნაგრა ჩამონართვა და განავრძო:

— ნიანგი გამოგზავნიდა. იმის ჩანგალს ვენაცვალე. იცის საით გაგზავნოს ხალხი. გაუგია საქმე უჭირთო და უფრენიხარ აქეთკენა... ფრთხილად. ფრთხილად. ტალახში არ ჩაიფლო!

— ჰყაბ!

ეს „ჰყაბ“ მუხლამდე ტალახში ჩენს ჩაფლობას ნიშნავდა. მას „ჰყუბიცი“ ნოჰყეა და მე ახალ ჩურჩხელად ნაქცია წწორის კეთილმოწყობილმა „მისასვლელმა“.

— ხომ გითხარი. ფრთხილად-მეთქი! არ იცი რომ ეს წწორის წყლის საღგურია?

ჩემმა დამხვდურმა სიტყვა არ ნაცალა, ისეთი საუბარი გამიბა, რომ მარტო თვითონ ლაპარაკობდა. და ისე ლაპარაკობდა, რომ შეუკითხავად მიპასუხებდა თითქმის ყველაფერზე. რანაცკი შეიძლება დააინტერესოს ახალჩამოსული ადამიანი თუნდ აი. აქ. წწორის საღგურზე, სადაც წვიმიან ამინდში ტალახის „გარემოცვაშია“ ყოველი ბილიკი, საცალაფეხო. თუ საწყვილფეხო მისასვლელ-გამოსასვლელი.

— არა. შენ ეს მითხარი, უჩინნაჲინ, ხომ არ გკონია, რომ ამ ჩვენს დაბა წწორს კომგანი არა ჰყავს?..

მე დავაპირე ნეთქვა — „არა მგონია“-მეთქი, მაგრამ ისევ მან მიპასუხა:

— გეყავს, როგორ არა გეყავს, მაგრამ ამბობენ, იქ უქნარები. საქნით დაუინტერესებლები სხედანო. ე. ტალახი რა არი, ტალახი, რომ ვერ მოგვაცილეს. სხვა რა სიკეთეს დაგეყვედრებენ?

ძალაუნებურად მოსთვალტებულ ქუჩას გავხედე და უნდა ნეთქვა „ნაშ ეს რა არის“-მეთქი, მაგრამ... — არა, შენ ნაგ პატარა ნაგლეჯს კი ნუ უყუ-

რებ — შიგნით, უბანში შეიხედე, ჩენი ქუჩები და შესახვევები ნახე, გუბები, ტალახი... — ჰყაბ! — ნოჰყეა მის სიტყვას ჩემი მეთქვე ჩაფლობა.

— არა უშავს-რა, უჩინნაჲინ, აი, გავალთ კოოპერატივთან, ასფალტთან. ავტობუსთან, მაგრამ ე, შენ კი ჩურჩხელასავით გახდი და!..

— ახლა ამ ჩვენი ავტობუსის გზას აღარ იკითხავ? — ნითხრა მან როგორცკი შეშატყო, რომ გზის „ვარგისობის“ შესახებ მინდოდა შევკითხვო.

— ვიცი, შენ ისე მოშინასავით დააღე პირი, რომა გზის შესახებ გინდა მკითხო. რომელი გზა გაინტერესებს? ბოლბისხევისა? ჰო, ბოლბისხევის მარშრუტი უფალმა მიირთვა; ისეთი ხევეუბები გააჩინა ნიაღვარმა, რომ თქვეს — რალა გზები შევაკეთოთო, მოდი მთელი მარშრუტი გავაუქმოთო, და გააუქმეს...

— მაჩხანა! — ყვიროდა ჩამონდგარ ავტობუსთან ვილაცა, — მაჩხანა! — და იქით მიმართულება!

— არა, ერთი ამას უყურე, — განავრძო ჩემმა „ნოსაუბრემ“, — თუ, ესთქვათ, ბოლბისხევი მიდინარ, მაჩხანამდე აგეყვანენ და მერე ბოლბისხევიამდე ფეხით გაჩინჩალებენ. ან ბოლბისხევიდან — მაჩხანამდე უნდა იჩინჩალო, რომ იქიდან წწორში ჩამოხვიდე. ეს ნახევარი მანძილია, მთელი გზის ფული კი უნდა გადაიხადო და იმდენივე დრო დახარჯო. რასაც ავტობუსის გამოგონებამდე ხარჯავდნენ ბოლბისხეველები. არა, როგორ მოგწონს. ჰა?

ავტობუსი დაიდრა, დაჯაყჯაყებული: ტალახით ნოგანგლული ხალხით. ხურჯინებით, კასრებითა და კალათებით გაქედლილი ავტობუსი დაიდრა, შავი ბოლი კუნშიად გაუშვა და ჩემი მოსაუბრის ლაპარაკიდან ნხოლოდ ესლა გავარჩიე:


— ჩამოლი, უჩინნაჲინ, წწორში ჩამოლი, აქ იმდენი სანიანგო ამბებია, რომა... ჩვენ უკვე პირველ გუბეში „ჩავხანყდით!“

უჩინნაჲინი

ნახ. გ. შარაშიძისა




მეგობრული შარვი იმნაცი ვიტზისა



პოეტი გიორგი ლეონიძე
(შესრულებულია სპეციალურად „ნიანგისათვის“)

საჩივართა ბიუროში



შალკეშანი

ნაკვესი

— წარმოიდგინე, გუშინ გამოფენაზე ვიყავი... და მხოლოდ შენს სურათს თუ შეხედავს კაცი!
— რას ამბობ, ნუთუ მართლა?!.
— სინდისს გეფიცები! დანარჩენ სურათებს ახლოს ვერ მიეკარები, იმდენი ხალხი ახვევია.

* * *

— ექიმო, ღამით ისე ვხვრინავ, რომ საკუთარი ხვრინვა მალევიძებს და ძილს მიტეხს. რას მირჩევთ?
— მეორე ოთახში დაიძინეთ!

* * *

— მწერალი ხართ? სასაცილო პროფესია გქონიათ.



— რატომ გგონიათ?
— დაფიქრდით: წიელი წელიწადი საწერ ნაგადას უზიხართ, წვალობთ, რათა როგორც ერთი რომანი დაწეროთ, მაშინ როცა, რომელიც გნებავთ მალაზიაში, რვა ზლოტად ყველაზე ცნობილი ავტორის წიგნს იყიდით

* * *

— წარმოიდგინე, ვაჟდები გუშინ 17 ნომერში, ლუბესკის უნიის მოედანზე, და რას ვხედავ: ჩემს პირდაპირ ზის ცნობილი მხატვარი რემბრანდტი, ყიდულობს ბილეთს და მარიმონტისაკენ მიემგზავრება.

— მტკნარი სიცრუეა!
— რატომ?
— 17 ნომერი უნიის მოედნით არ დადის.

(„შპილკი“—პოლონეთი)



ზოგი რამ დიალექტიკიდან

ვინ არ იცის დიალექტიკის კანონი — რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლის შესახებ. იცვლება რაოდენობა — იცვლება თვისება. ამ კანონის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს წყალი. თუ წყლის ტემპერატურა ნულამდე დავცა, იგი ყინულად გადაიქცევა, თუ ტემპერატურა 100°-ს მიაღწევს, წყალი ორთქლად იქცევა. ეს — განსხვავებისათვის. ახლა კი თავს ნებას მივცემ ცნობილ მაგალითებს რამდენიმე ახალადმოჩენილი უცნობი მაგალითით დავუმატო, (იქნებ ამ დამატების წყალობით შეიცვალოს ზოგიერთების და ზოგიერთ მოვლენათა თვისება).

მაგ. I. თუ არტელის გამგე მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ფლანგავს სახელმწიფო ფულს, იგი მაინც ძმავე არტელის გამგეა, მაგრამ საკმარისია ორი წლის განმავლობაში ფლანგოს, რომ მას უკვე სხვა არტელის გამგედ გადაიყვანენ. (მოიმატა დრომ — შეიცვალა დაწესებულება).

მაგ. II. თუ რესტორან-სასადილოს თითოეულ მაგიდას საშუალოდ ორი ბუზი ეხვევა. ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იქ რესტორან-სასადილოა. მაგრამ საკმარისია ბუზების რიცხვი (თითოეულ მაგიდაზე) 30-ს მიაღწიოს, რომ ღირეკტორს თამამად შეუქლია თქვას — მე რესტორან-სასადილოს ღირეკტორი ვარო. (მოიმატა ბუზების რიცხვი — განმტკიცდა თანამდებობის რწმენა).

მაგ. III. თუ თქვენს რადიორეპროდუქტორს კვირაში ერთხელ უსმენთ, იგი ისევ რადიორეპროდუქტორად რჩება. მაგრამ თუ ყოველდღე უსმენთ, ტელევიზორად გადაიქცევა და თქვენ მასში დაინახავთ ერთფეროვნებას. (მატულობს მოსმენის რიცხვი — წინ მიდის ტექნიკა).

მაგ. IV. თუ ამინდის ბიურო კვირაში 7-ჯერ გამოაცხადებს, ხეალ წვიმა იქნებაო. არ გამოართლდება; მაგრამ თუ წელიწადში 31-ჯერ გამოაცხადებს, ერთხელ მაინც გამოართლდება.

(აქ თითქოს ირღვევა დიალექტიკის კანონი — გადიან წლები და მდგომარეობა უცვლელი რჩება. მეტაფიზიკოსები ხშირად იყენებენ ამ მაგალითს დიალექტიკოსთა საწინააღმდეგოდ).



ახე მტერი დაგეცალოთ.

მაგ. V. თუ ქუჩაში გავლისას, თქვენმა მეზობელმა მიეჭვს სართულიდან დაბერტყა ხალიჩა, ცას ფერი შეეცვლება, მაგრამ თუ მეორე სართულიდან დაბერტყა, ფერი თქვენს კოსტიუმს შეეცვლება. (კლებულობს სართულების რაოდენობა — იცვლება ფერთა განაწილება).

მაგ. VI. წინადადებაში — „ევიპტის სუვერენიტეტის შელახვას ესწრაფვიან ინგლისი, საფრანგეთი და ა. შ.“ — „ა. შ.“ ასე შემდეგს ნიშნავს, მაგრამ თუ კიდევ ერთ „ა. შ.“-ს დავუმატებთ, გამოვა „ა. შ. შ.“ — ამერიკის შეერთებული შტატები. (დაემატა ერთი ასო — დახუსტა სიმართლე).

მაგ. VII. თუ ზემოთ მოყვანილი მაგალითები არც სასაცილოა და არც სამხიარულო, სამაგიეროდ ავტორს რომ ვერც ერთის მოყვანა ვერ შესძლებოდა, მაშინ ძალზე სამხიარულო და საბედნიერო იქნებოდა ყველასთვის. (კლებულობს მაზინჯი მოვლენების რიცხვი — უფრო სასიამოვნო ხდება ცხოვრება).

აბარა გვგონა

ნაბ. გ. ფირცხალავასი



ანგარიშია 4 : 0

ნაილონსა უკეთესი

საქვიგნის ხელისმოწერით გამოცემათა მალახისთან უზარმაზარი რიგი იდგა. პროსპექტზე მომავალმა, წინდებიან-კაბიანათ ნაილონში გამოწყობილმა, თმაპირშეღებილმა ქალმა, ხელჩანთაში ფაციფუციით ფული გადათვალა და რიგს მიაშურა.

— რაზე დგას რიგი? — შეეკითხა იგი რიგის ბოლოში მდგარ ქალარაშვრეულ დარბაისელ ქალს, რომელიც ძალიან ღელავდა — შრიგოდ მიდის ხალხიო.

— ჰიუგოზე!
— ეგ, ალბათ, ნაილონზე უკეთესია, არა?
ქალარა ქალმა ჯერ განცვიფრებით შეხედა, მერე გაიღიმა და უპასუხა:

— რასაკვირველია, ნაილონს ჯობია!..

ნაილონიანი ქალი კმრის კაბინეტში ისე შეიჭრა, რომ მღვივის ღმილდართული სალამიც არ შეუნიშნავს.

— თემურხან, გენაცვალე! აი ტელეფონის ნომერი, ბაზის უფროსის გვარიც გავიგე... ახლავე დაურეკე, უთხარი ვინცა ხარ... გამოგიწეროს. ამბობენ მოსკოვიდან იწერენო, უთხარი ცოლი მოვა-თქო...

— ტურფა, გენაცვალე, რა ვთხოვო, ვის ვთხოვო, განაგებინე! — შევედრა ქმარი.

— თვითონ მიხედება: რიგი რომ დგას-თქო! ნაილონს რომ სჯობია ისა-თქო, უთხარი!..

... დარეკა და გამოიწერეს.

ქალარაშვრეულმა ქალმა ჰიუგო ვერ გამოიწერა. იგი ნაღვლიანი და გულნატკენი დაბრუნდა სახლში. განსაკუთრებით იმ ვაპრანქული ქალის სულელური შეკითხვა ისე აწუხებდა, რომ კმრისთვის ხელის შეშლას არ მოერიდა და მის საბუშო ოთახში შევიდა.

— ნიშა, რომ არ გითხრა, არ შემძლია. ჰიუგოზე ხელი ვერ მოვაწერე. ამაოდ ვიდექი რიგში. ვილაც ქალი მოვიდა და შეკითხა: ჰიუგო სჯობია თუ ნაილონი... წარმოგიდგენია?
ქმარი ყურადღებით უსმენდა. არ გაცინებია, არც აღშფოთებულა. როდესაც სადილად დასხდნენ, ცოლს ხელი მოხვია და მოუბოდიშა:

— მაპატიე, ნინო, რომ წელან ვერაფერი გიპასუხებ, რა ვქნა, ნაილონი არ წამიკითხავს!..

ელ. ჩხენკელი

რედაქტორი — ვახტანგ ჯელიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, მ. გიგინეიშვილი, ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Тбилиსი. Сатирико-юмористический журнал „Инанги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42 ტელ. 3-10-49 3-76-69

გამომც. № 20, ხელნაწ. დასაბ. 6/XI-1956 წ. ქალ. ზომა 70 X 108 1/8, 0, 5 ნაბ. ფურც. 1,37. ფურადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5. შეჯ. № 1327 უფ 07744. ტირ. 25.00.



- წელსაც აუღებელი დაგვრჩება ყურძენი, ისე აგვიანებს ჩვენი თავმჯდომარე...
- რატომ, კაცო, აკი მალე მორჩებიან კრეფასო!..
- შენ რა იცი. თუ ძმა ხარ, კურში ზიხარ!